სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მებრძოლი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი

Красноармейская газета Закавказского фронта „Боец РККА“ на грузинском языке

№ 111 (225) | სამშაბათი, 10 ოქტომბერი | 1944 წ.

მოსკოვს ჩამოვიდნენ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი უ. ჩერჩილი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ა. იდენი

9 ოქტომბერს მოსკოვს ჩამოვიდნენ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი უინსტონ ჩერჩილი და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ანტონი იდენი, რომელთაც ახლავან ბრიტანეთის საიმპერიო გენერალური შტაბის უფროსი ფელდმარშალი ა. ბრუკი, გენერალი ხ. ლ. ისმეი და სხვ.

ჩამოსულთ მოსკოვის აეროდრომზე შეხვდნენ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეები ა. ი. ვიშინსკი და ი. მ. მაისკი, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე არმიის გენერალი ა. ი. ანტონოვი, მოსკოვის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ვ. ასტაფიევი, თავდაცვის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობის განყოფილების უფროსი გენერალ-მაიორი მ. პ. კუტუზოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტის მოვალეობის აღმასრულებელი პოლკოვნიკი ნ. ვ. გრეზენშჩიკოვი.

აეროდრომზე იყვნენ დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი ა. ქ. კერი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ვ. ა. ჰარიმანი, კანადის ელჩი ბ-ნი ა. დანა უილგრესი, ავსტრალიის დესპანი ბ-ნი დ. მალონი, ბრიტანეთის სამხედრო მისიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი მ. ბაროსი, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მისიის მეთაური გენერალ-მაიორი დ. დინი, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოთა დიპლომატიური თანამშრომლები და სამხედრო მისიათა წევრები.

შეხვედრის დროს დაყენებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. აეროდრომი მორთული იყო დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

ი. ბ. სტალინის საუბარი ბ-ნ უ. ჩერჩილთან

9 ოქტომბერს შესდგა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის საუბარი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ უინსტონ ჩერჩილთან.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ა. იდენი და დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ა. ქ. კერი.

ვ. მ. მოლოტოვის საუბარი ბ-ნ ანტონ იდენთან

9 ოქტომბერს შესდგა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მ. მოლოტოვის საუბარი დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ანტონი იდენთან.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკი და დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი ა. ქ. კერი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გვარდიის წითელარმიელ ი. მ. სმირნოვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის გვარდიის წითელარმიელს იური ვასილის-ძე სმირნოვს მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება ლენინის ორდენისა და მედალ „ოქროს ვარსკვლავის“ გადაცემით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1944 წ. 6 ოქტომბერი.

გვარდიის წითელარმიელ იური სმირნოვის საგმირო საქმე

ნ რაიონში მტრის თავდაცვის გარღვევისას ერთ-ერთი გადამწყვეტი იერიშის დროს მძიმედ დაიჭრა წითელარმიელი იური სმირნოვი. იგი გონებადაკარგული იყო, როცა ტყვედ ჩაიგდეს გერმანელებმა. ჰიტლერელებმა ბლინდაჟში შეათრიეს იგი და „დაკითხვა“ დაუწყეს. ფაშისტი ჯალათები ყოველნაირად აწამებდნენ და სტანჯავდნენ მას და ცდილობდნენ უმწეო დაჭრილი წითელარმიელისაგან მიეღოთ მათთვის საჭირო ცნობები. ბარბაროსებმა წითელარმიელი ლურსმნით მიაჭედეს ფიცარზე, დანით უჩხვლეტდნენ მკერდს, ლურსმნებს არჭობდნენ თავში და ყოველნაირად აწამებდნენ თავიანთ მსხვერპლს. ლენინურ-სტალინური კომკავშირის აღზრდილმა იური სმირნოვმა მტკიცედ გადაიტანა ყოველგვარი ტანჯვა, ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს სამშობლოს მტრებისათვის, ტანჯვით სიკვდილის წინაშე მტკიცედ დიცვა ერთგულება თავისი სამხედრო მოვალეობისადმი.

სამამულო ომის I ხარისხის ორდენის კავალერს გვარდიის წითელარმიელ იური სმირნოვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მამაცობისა და გმირობისათვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

9 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა

9 ოქტომბრის განმავლობაში კუნძულ საარემაზე (ეზელზე) ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის უნდა, მეტსა, კიპუსე, ქურ ვერე, კიხელკონა, ვიდრუკა, კარალა, ლიუმანდა, ტოჟალიუკა, მეტსალიუკა, ტეხუმარდი, უიდიგე.

რიგის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლებს აწარმოებდნენ, რომელთა მსვლელობაში დაიკავეს დასახლებული პუნქტები ესპარსი, იაუნზემნიეკი, ტილტინი, ზრიტიუკროგსი, რეიკასი, ლაუნაგი, რუცენესი, კლიდი და რკინიგზის სადგური ვანგაჟი.

(დასასრული მე-4 გვ.).

ბრძანება

უმაღლესი მთავარსარდლისა

არმიის გენერალ ბაგრამიანს

ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარების დახმარებით, შეტევაზე გადავიდნენ შაულიაის (შავლის) ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონიდან, გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული თავდაცვა და ექვსი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში წინ წაიწიეს 100-მდე კილომეტრით, ამასთან გარღვევა გააფართოვეს 280 კილომეტრამდე ფრონტით.

შეტევის მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის ღიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები ტელშაი, კლუნგიანი, მაჟეიკიაი, ტრიშკიაი, ტირკშლაი, სედა, ვორნი, კელმი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 2.000-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის პაკილე, პიევენაი, ნევარენაი, ნერიმდაიჩაი, რაუდენა, კურშენაი, კურტოვიანი, შავკიანი, ვიტსოძი, ლუკნიკი, იანოპოლი, ჟორაპი, მედინგიანი, ტვერი, პოვანდენი, იუზეფოვი, უჟვენტი, კოლტინიანი, კროჟი, სავდინიკი, იოზეფოვო, სტულგი, ბარგაილი, ნემოქშტი, რეტოვო, ილაკიაი, დერვიანი, კოვნატოვო, შემალე, ვეუვიანი, ლეკლავკი, ეიგირჯიაი, ელკი, ერჟვილკი, ვოჯგირი.

ბრძოლებში მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ ჩისტიაკოვის, გენერალ-ლეიტენანტ ბელობოროდოვის, გენერალ-ლეიტენანტ ჩანჩიბაძის, გენერალ-ლეიტენანტ კრეიზერის, გენერალ-ლეიტენანტ ლიუდნიკოვის, გენერალ-მაიორ ფედიუნკინის, გენერალ-ლეიტენანტ ერმაკოვის, გენერალ-ლეიტენანტ ლოპატინის, გენერალ-ლეიტენანტ ქსენოფონტოვის, გენერალ-მაიორ არუშანიანის, გენერალ-მაიორ ხამარსკის, გენერალ-მაიორ იგნატსკის, გენერალ-მაიორ ჩერნიკოვის, გენერალ-მაიორ სედულინის, გენერალ-ლეიტენანტ მისანის, გენერალ-მაიორ ნევეროვის, გენერალ-ლეიტენანტ ხოზუგლოვის, გენერალ-მაიორ ოლეშევის, გენერალ-მაიორ მაკარიევის, გენერალ-მაიორ კუჩერიავენკოს, გენერალ-მაიორ ბელიაევის, პოლკოვნიკ დრუჟინინის, გენერალ-მაიორ ერემენკოს, გენერალ-მაიორ კუდრიავცევის, გენერალ-მაიორ გორბაჩოვის, პოლკოვნიკ პრიახინის, გენერალ-მაიორ გრიზლოვის, პოლკოვნიკ ლოჟკინის, გენერალ-მაიორ ვლასოვის, პოლკოვნიკ მაიკოვის, გენერალ-მაიორ სტანკევსკის, პოლკოვნიკ სივანკოვის, პოლკოვნიკ სობიანინის, გენერალ-მაიორ კვაშნინის, პოლკოვნიკ ბიბიკოვის, პოლკოვნიკ კოჟანოვის, პოლკოვნიკ პოპოვის, პოლკოვნიკ კლეცის, პოლკოვნიკ ურბშასის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ხლებნიკოვის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ბაჟანოვის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ნილოვსკის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ მაკაროვის, არტილერიის გენერალ-მაიორ შჩეგლოვის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ სტრელბიცკის, არტილერიის გენერალ-მაიორ ტელეგინის, არტილერიის გენერალ-მაიორ დერეშის, არტილერიის გენერალ-მაიორ ბელიაკოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ სამბორსკის, არტილერიის გენერალ-მაიორ სტეპანენკოს, პოლკოვნიკ ჩვიკოვის, პოლკოვნიკ კაპიტონენკოს, პოლკოვნიკ ლებედევის, პოლკოვნიკ ჩაპლინის, პოლკოვნიკ შეჟერუკის, პოლკოვნიკ გაიდუკოვის, პოლკოვნიკ მირონოვის, პოლკოვნიკ კუზნეცოვის, პოლკოვნიკ სკვორცოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ კარსანოვის, პოლკოვნიკ დოლგოვის, პოლკოვნიკ ლუკიანოვის, პოლკოვნიკ ლინკოვის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ვასილიევის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ვოლსკის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ სკორნიაკოვის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბუტკოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ მალახოვის, პოლკოვნიკ ვოლკოვის, პოდპოლკოვნიკ კოლესნიკოვის, პოლკოვნიკ პარამონოვის პოლკოვნიკ სადოვსკის, პოლკოვნიკ ზერზინის, პოლკოვნიკ ბატალკინის, პოლკოვნიკ ფეშენკოს, პოლკოვნიკ არხიპოვის, პოლკოვნიკ კუტუზოვის, პოლკოვნიკ ხრაპოვიცკის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ლიპატოვის, პოლკოვნიკ მენშოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ იუდინის, პოლკოვნიკ სტანისლავსკის, პოდპოლკოვნიკ პოკლოვის, პოლკოვნიკ დოლგანოვის, პოლკოვნიკ ერმაკოვის, პოდპოლკოვნიკ კალინინის, პოლკოვნიკ ბესპალოვის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ პაპივინის, პოლკოვნიკ ალექსანდროვის, პოლკოვნიკ კუჩმას, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ფილინის, პოლკოვნიკ კურბატოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ ივანოვის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ბელეცკის, პოლკოვნიკ პლახოვის, პოლკოვნიკ გრაშჩენკოვის, პოლკოვნიკ სტალინის, ავიაციის გენერალ-მაიორ კიტაევის, პოლკოვნიკ ფოკინის, პოლკოვნიკ რიკაჩოვის, პოდპოლკოვნიკ ხრულიკის, პოდპოლკოვნიკ რიბაკოვის, პოლკოვნიკ პრუტკოვის, პოდპოლკოვნიკ პარიაკინის, პოლკოვნიკ ჩუჩევის, ავიაციის გენერალ-მაიორ მოლოკოვის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ კოსარევის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ კულინიჩის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ კოლმაკოვის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ბრინზოვის, პოდპოლკოვნიკ კუზნეცოვის, პოლკოვნიკ სტეჩიშინის, პოლკოვნიკ კუჩერუკის, პოლკოვნიკ კოროტკოვის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ ბაბკინის, კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ ბოროვიაგინის, პოლკოვნიკ ზახაროვის, კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ კოკორინის, კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ სოროკინის, პოლკოვნიკ მინინის, პოლკოვნიკ კოვალენკოს მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ბრძოლებში მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 8 ოქტომბერს, 22 საათსა და 30 წუთზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ბრძოლებში მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას.

საუკუნო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი

საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 8 ოქტომბერი.

ჩვენ მივდივართ, რათა ბოლო მოვუღოთ გერმანელებს!

★

ჩვენ ვიქნებით ბერლინში

ჩვენ უკვე ძველი ჯარისკაცები ვართ. გერმანელებს ომის პირველი დღიდანვე ვანადგურებთ. ყველაფერი გამოვცადეთ. ომის პირველ წელს ბევრჯერ ვიგემეთ ჯარისკაცური მწუხარება. მაგრამ ჩვენს ქუჩაზეც დადგა დღესასწაული. ჩვენ მონაწილენი ვართ წითელი არმიის უდიდესი შეტევისა, რომელიც ლეგენდარული სტალინგრადის კედლებთან და კავკასიის მთებთან დაიწყო.

ახლა მესამედ მივდივართ ფრონტზე და მტკიცედ გვწამს, რომ ეს იქნება უკანასკნელი წასვლა. არ დავწყნარდებით მანამ, ვიდრე არ მოვსპობთ უკანასკნელ ქვეწარმავალს.

დაფიქრდით ერთი წუთით, ამხანაგებო, სად იყვნენ გერმანელები? კავკავის მისადგომებზე, სტალინგრადთან. ხოლო სად არიან ისინი ახლა? ფაშისტი მხეცის განკითხვა დაიწყო. მას ურტყამენ აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან, სამხრეთიდან, ჩრდილოეთიდან. ბერლინამდე 500 კილომეტრი დარჩა. ჩვენ მივდივართ ფრონტზე, რომ ეს 500 კილომეტრი ბრძოლებით გავიაროთ ჩვენი მტ[...] მიწაზე. დაე ძრწოდენ გერმანელ[...] ჩვენ ვიქნებით ბერლინში!

გვარდიის უფროსი სერჟანტი
მ. ბუტარივი

უფროსი სერჟანტი
მ. ტოკარივი

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ ერთ-ერთი სამარშო ასეულის მებრძოლთა წერილებს, რომლებიც ამ დღეებში ფრონტზე გაემგზავრნენ. მათ შორის უმეტესობა ხალადი მეომარია.

ამ წერილების ყოველი სტრიქონი გამსჭვალულია ჩვენი ქვეყნის წყეული მტრის—გერმანელისადმი მძაფრი სიძულვილით და ულრმესი სიყვარულით დიადი სამშობლოსადმი, პარტიისა და მშობლიური სტალინისადმი. ყოველ სტრიქონში გამოსჭვივის მტერზე საბოლოო გამარჯვების რწმენა.

მათ საუბარში და მშობლებისადმი გაგზავნილ წერილებში მოსჩანს სიხარულით აღსავსე გამარჯვების რწმენა:

— ჩვენ მივდივართ, რათა ბოლო მოვუღოთ მტერს!

საბჭოთა ხალხების ურღვევი ძმობა

სამამულო ომის პირველ დღიდანვე მრავალ ფრონტზე ვიცავ ჩემს მშობლიურ საქართველოს. წილად მხვდა ბედნიერება—გამევლო ომის მთელი გზა. ამ ხნის განმავლობაში მე ოთხჯერ დავიჭერი. სამშობლომ დამაჯილდოვა წითელი ვარსკვლავის ორდენით, ორი მედლით „მამაცობისათვის" და მედლით „სტალინგრადის დაცვისათვის".

მე ყოველთვის სატანკო ნაწილში ვიბრძოდი, მტერს ვანადგურებდი ჩვენთვის შესანიშნავ და მტრისათვის თავზარდამცემი მანქანით T—34. ვიბრძოდი ბელორუსიაში, სტალინგრადთან, ორიოლთან. ცოტა ფრიცი [...]ოდი მოვსპე ჩემი ზარბაზნით. ჩემი [...]ველი გასროლა მტრისათვის სამა[...]რონ მიზღვა იყო ჩვენი სამშობლოს ქალაქებისა და სოფლების დანგრევისათვის, საბჭოთა ადამიანების სისხლისა და მწუხარებისათვის. და თუმცა ჩემი მშობლიური სახლი იყო შორს, მზიურ საქართველოში, სადაც მელოდა მოხუცი დედა სალომე, სადაც იზრდებიან ძმა კოლა, დები—მარო, ნინო და ანა, მაინც ვიცი რომ ბელორუსიაშიც, ორიოლთანაც, სტალინგრადთანაც მე ვიცავდი მამისეულ სახლს, ჩემს ოჯახს, ჩემს დიად საბჭოთა კავშირს.

ჩემი გული ანთებული იყო მძაფრი სიძულვილით საბჭოთა ხალხის წყეული მტრის—გერმანელისადმი.

მე მთელი სამი წლის განმავლობაში რუსებთან და უკრაინელებთან მხარდამხარ ვიბრძოდი გერმანელების წინააღმდეგ. ამ მეგობრულ ოჯახში განსაკუთრებით ღრმად შევიგრძენ ჩვენი საბჭოთა ხალხების მეგობრობა. ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხების ურღვევი მეგობრობისათვის ბევრი სისხლია დაღვრილი. ამ სისხლმა სამუდამოდ შეადუღაბა ეს მეგობრობა.

მე წილად მხვდა ფრონტზე მეხუთედ წასვლის ბედნიერება და ვოცნებობ, რომ ჩემი T—34-ით შევიჭრე დამარცხებულ ბერლინში.

გვარდიის ზემდეგი
რეზო აფციაური.

გამარჯვებული დავბრუნდები

1941 წლის 12 ივლისს მე პირველად მივიღე მონაწილეობა ბრძოლაში. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მაგრამ მე არასოდეს არ დამავიწყდება დიადი ბრძოლა კურსკის რკალზე. ეს იყო მკაცრი და სისხლისმღვრელი შეტაკება. მთელი დღე და ღამე ვიგერიებდით მოძალებულ „ვეფხვებს", „ავაზებსა" და „ფერდინანდებს". სახელოვნად იბრძოლეს მაშინ ჩვენმა არტილერისტებმა. ისინი ოსტატურად ამსხვრევდნენ გერმანელთა ტექნიკას. სასწაულებს ახდენდნენ ჩვენი ქვეითი მეომრები.

ერთი ასეთი ბრძოლის შემდეგ შევიჭერით სოფელ ხმელევოში. შევედით ერთ სახლში. დაბზრის სუნი იდგა. ჩვენ დავინახეთ ცოცხლად დამწვარი წითელარმიელების გვამები. შორიახლოს მოხუცი იჯდა და ისე დასტიროდა დაღუპულებს, როგორც საკუთარ შვილებს. ამ დღიდან ჩემს გულში ჩაუქრობლად ანთია სიძულვილი საზიზღარი მხეცებისადმი.

მე ციმბირელი ვარ. ჩემმა ოჯახმა არ იცოდა ომის საშინელება. მაგრამ მე ფიცი დავდე შური ვიძიო მტერზე ყველა იმ ბოროტებისათვის, რაც კი ჩაიდინა მან ჩვენს სამშობლოში. არ დავწყნარდები მანამ, ვიდრე ბოლოს არ მოვუღებთ დაჭრილ ფაშისტ მხეცს მის საკუთარ ბუნაგში.

მე ომის დასაწყისშიც ვიბრძოდი, მის დასასრულშიც უნდა მივიღო მონაწილეობა, მივემგზავრები მის დასამთავრებლად, რომ სახლში გამარჯვებული დავბრუნდე.

ზემდეგი პ. მორაჩკოვსკი.

დაგვიბრუნდება კვლავ გაზაფხული

მუდამ თან გვახლავს ოცნებით
ეს ცისარტყელა მრავალ ფერადი,
ამ ქვეყანაზე სადაც მზე არის
ალუბლებს, ჩვენი ხალხის ბედისა,

და საბოლოოდ ის ძვირფასი დღეები,
რაც აქვს ბედისგან ხალხს განზრახული.
ომს ფოლადური ძალის თუ უნდება,
დაგვიბრუნდება კვლავ გაზაფხული..

გაზეთს გადავშლით, ბრწყინდება თვალი
როს წავიკითხავთ მშობლიურ გვარებს,
რომ ქართველების ნაცადი ხმალი
უფრო ძლიერად დღესაც ელვარებს.

ცას დაამშვენებს ვარსკვლავთ კრებული,
მზე ოქროსფერი ამობრწყინდება
და ქალაქები ნაცრად ქცეული
ძლევამოსილად აღორძინდება.

ი. ხოშტარია



[illegible] ჰარმონის ხმები. [illegible] ორი ზარი. მატარებელი დაიძრა. გზა მშვიდობისა, ჯარისკაცებო!

ქართველ ვაჟკაცებს

თქვენს მახვილს ზვირთად უძლებს
დუშმანის გულის ფიცარი.
კავკასიის კარებთან
ჩვენს, დიდ სამშობლოს იცავდით.

იქნებს ლამაზ საქართველოში
გამარჯვებულებს გელოდებ
დასვენთ... ბრძოლის გზას გინათებთ
დიდი სტალინის გენია.

მამა-პაპური ძახილით
სცემდით მარჯვენით ქართულად,
არ დაგიტყდებათ მახვილი
ბრძოლაში, ამოწვართული,

საშველიმეილად გადავა
თქვენი ქება და დიდება.
ქვეყნის ერთგული ვაჟკაცი
სიკვდილს არ შეუშინდება.

ზემდეგი ს. რუხაძე.

★ ★ ★

სამშობლოსათვის, სტალინისათვის!

ჩემო ძვირფასო ამხანაგებო, წითელი არმიის ჯარისკაცებო! მე ჯერ კიდევ 1917 წელს ვებრძოდი გერმანელებს. და აი, ჩქარა კვლავ მომიწევს წყეულ მტერთან შეხვედრა. ფრონტზე გამგზავრების წინ ბევრს ვფიქრობდი ამ უკანასკნელ დღეებში. მე ჩამაცვეს სრულიად ახალი ტანსაცმელი. გავიფიქრე. მეოთხე წელია ვიბრძვით და, მიუხედავად ამისა, ჯარისკაცი ფრონტზე მიდის თავიდან ფეხებამდე ჩაცმული. მდიდარია ჩვენი ქვეყანა, უძლეველია ჩვენი ხალხი!

ომამდე მე ჩემი ოჯახით ვცხოვრობდი და ვმუშაობდი კოლმეურნეობაში. დიდი ოჯახი მაქვს, 10 სულისაგან შესდგება იგი. საბჭოთა ხელისუფლება მე და ჩემს ცოლს გვაძლევდა დახმარებას ბავშვებისათვის — 2.000 მანეთს ყოველწლიურად. ვცხოვრობდით ძალიან კარგად, მეგობრულად. წლიურად 2.000 შრომადღეს ვიმუშავებდით. ყველანი პატივს მცემდნენ, მაქებდნენ, მაჯილდოებდნენ. მაგზავნიდნენ სტახანოველთა ყრილობაზე. ჩემი სახლი ყველაფრით სავსე იყო. ბავშვები სწავლობდნენ. ვხარობდით მე და ჩემი ცოლი, ვადიდებდით ბოლშევიკურ პარტიას, მამასა და მასწავლებელს ჩვენ დიდ სტალინს იმისათვის, რომ ჩვენ, კოლმეურნეებს შეძლებული და სამური ცხოვრება მოგვცეს.

დაიწყო ომი და ჩვენს სიხარულსაც ბოლო მოეღო. ჩავვარდით გერმანელთა მონობაში. გერმანელებმა გააპარტახეს კოლმეურნეობა, გაიტაცეს სახალხო ქონება, ხალხს კისერზე დაადგეს ბატონყმობის მძიმე უღელი. ჩვენი შრომა ნაძალადევი შეიქმნა. ახალგაზრდები გერმანულ კატორღებში გარეკეს.

წითელმა არმიამ გაათავისუფლა ჩვენი მშობლიური სოფელი 1944 წლის იანვარში. და აი, მოვესწარ მეც იმ დღეს, როცა ხელში ვიღებ სახელგანთქმულ რუსულ სამხაზიანს, რათა სამაგიერო მივუზღო წყეულ გერმანელს საბჭოთა მიწა-წყლის აოხრებისათვის, ჩემი განადგურებული ოჯახისათვის, ჩემი ბავშვების ტანჯვისათვის, ჩემი უფროსი ვაჟი ესტაფი ფრონტზე გმირთა სიკვდილით დაიღუპა. ჩემი ქალიშვილი ლუბაშა გერმანელებმა კატორღაში გაგზავნეს. ამ უბედურებათა შემდეგ ცოლი მძიმედ გახდა ავად. გერმანელებმა მოაოხრეს ჩვენი მეურნეობა, უკანასკნელი ძროხაც კი წაიყვანეს. ჩემი მცირეწლოვანი ბავშვები სიმშილობდნენ. ვერც კი ჩამოვთვლი თუ რა ტანჯვა გადავიტანეთ გერმანელთა თარეშის დროს!

მე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, გერმანელთან მხოლოდ ერთი საშუალებით—ტყვიით შემიძლია ლაპარაკი. ჩვენ ხალხს გერმანელმა მხოლოდ სისხლით შეუძლია უხლოს. მე მივდივარ ფრონტზე როგორც მოსამართლე, მივდივარ, რომ ბოლო მოვუღო გერმანელს მის საკუთარ ბუნაგში. ცოლმა კი ჯვარზე დამაფიცა—მოვძებნო გერმანიაში ჩემი ქალიშვილი.

ჩვენმა ქვეყანამ, ჩვენმა ცოლებმა და ბავშვებმა ბევრი მწარე დღე გადაიტანეს. დასასრული ახლოვდება. ჩვენ მიდვივართ ფრონტზე, რომ მოვაახლოვოთ გამარჯვების ნათელი საათი. რაც უფრო მეტ გერმანელს მოვკლავთ, მით უფრო ჩქარა დამთავრდება ომი.

მე ძველი ჯარისკაცი ვარ. წითელი არმიის ახალგაზრდა მეომრებს მოვუწოდებ ისწავლონ სამხედრო საქმე, გამოიყენონ ყოველი წუთი. მართალია, ომი დასასრულს უახლოვდება, მაგრამ ჯერ კიდევ წინ გვიდევს ყველაზე მძიმე ბრძოლები. იმისათვის, რომ ბოლო მოვუღოთ გერმანელს საკუთარ ბუნაგში, ისე უნდა ვისწავლოთ, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი. ჯარისკაცებო, ისწავლეთ ისე, რომ ყოველმა თქვენგან გასროლილმა ტყვიამ მოკლას გერმანელი.

პირველ იერიშზე გერმანელი მხეცის წინააღმდეგ მე წავალ, მშობლიური მიწა-წყლისათვის, ჩვენი ბავშვებისათვის, ჩვენი ბედნიერებისათვის—ძახილით:

— სამშობლოსათვის, სტალინისათვის!

წითელარმიელი **სავა ივანი.**

პარტორგანიზაცია სამხედრო დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში

ჩვენი ქვეგანაყოფის პარტიულ ორგანიზაციას მებრძოლთა აღზრდისა და მათში სამხედრო დისციპლინის დანერგვის საქმეში საკმაო გამოცდილება აქვს. ცალკეული ადამიანებისადმი ინდივიდუალური მიდგომის შედეგად პარტიულმა ორგანიზაციამ აღზარდა არა ერთი და ორი ჩამორჩენილი, უდისციპლინო მებრძოლი და ამოეგად ქვეგანაყოფის მეთაურს საქმიანი დახმარება გაუწია.

მებრძოლი ბალხამიშვილი ხშირად არღვევდა დისციპლინას, ზარმაცობდა მეცადინეობის დროს. მან რამდენჯერმე დისციპლინარული სასჯელიც მიიღო, მაგრამ უწესო მოქმედებას მაინც განაგრძობდა. საქმეში პარტორგანიზაცია ჩაერია, პარტორგი ამხ. ჯალაღანიძე და ასეულის სხვა კომუნისტები რამდენჯერმე ესაუბრნენ მას. ცოცხალ ფაქტებზე აგებულმა საქმიანმა საუბრებმა მებრძოლზე გავლენა მოახდინეს. მან შეიგნო, რომ ასეთი მოქმედებით არცხვენდა საკუთარ თავს, ამხანაგებსაც და მეთაურსაც. ამხ. ბალხამიშვილი თანდათანობით ჩაება ასეულის საბრძოლო საქმიანობაში, ხელი აიღო სიზარმაცეზე და დღეს იგი ასეულში მოწინავეთ ითვლება. ამას წინათ იგი კომკავშირში მიიღეს.

ცხადია, აღზრდა რთული და ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ მოქნილი და დამაჯერებელი მუშაობით შეიძლება უმოკლეს დროშიც მივაღწიოთ სასურველ შედეგებს.

კომუნისტის საუბარი მაშინ არის მებრძოლისათვის სასარგებლო და დამაჯერებელი, თუ თვით კომუნისტი მოწინავე, დისციპლინიანი, მცოდნე და ყოველმხრივ მისაბაძია.

სწორედ ასეთნი არიან კომუნისტები—გულორდავა, ჭელია, ენუქიძე, სიმსიძე, ნადირაძე, შურღაია და სხვ. ისინი პირადი მაგალითით მებრძოლებს შორის საქმიან აგიტაციას ეწევიან. ვინ არიან საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები? კომუნისტები. და ამიტომ ისინი წარმოადგენენ მისაბაძს ყველა ამხანაგისათვის.

მაგრამ ყველა კომუნისტი როდი დგას თავის სიმაღლეზე. განა კომუნისტ ბერძენიშვილს შეუძლია იყოს მებრძოლის აღმზრდელი, როცა თვითონ წესრიგს დაარღვევს, ან პარტიის წევრ ქაჯაყმაძეს, რომელმაც მეთაურისაგან 2 დღე-ღამით რიგგარეშე განწესება მიიღო, შეუძლია პარტორგანიზაციის მოწონება დაიმსახუროს?

უდავოა, რომ ასეთ კომუნისტებთან ჯერ კიდევ დიდი მუშაობა სჭირდებათ. პარტორგანიზაცია ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ამ ამხანაგებმაც თავი დააღწიონ ჩამორჩენას და ქვეგანაყოფის ავანგარდში იყვნენ.

პარტორგანიზაციამ კვალიფიციური მომხსენებლების საშუალებით ჩაატარა მთელი რიგი საინტერესო საუბრები სხვადასხვა თემაზე, როგორც მაგალითად—„მეთაურის ბრძანება სამშობლოს ბრძანებაა", „უფროსი და ხელქვეითი", განვამტკიცოთ დისციპლინა, ორგანიზებულობა და წესრიგი", და სხვ.

ასეთი მუშაობის შედეგად ქვეგანაყოფში შესამჩნევად განმტკიცდა დისციპლინა და წესრიგი.

პარტორგი დ. მეტონიძე



საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები უმცროსი სერჟანტი კ. კონძაძე (მორჯგენი) და წითელარმიელი ა. ნადირაძე ტაქტიკურ მეცადინეობაზე. ცეცხლს უშენენ „მოწინააღმდეგის" ტანკს.

მედალ „კავკასიის დაცვისათვის" გადაცემა

წითელი არმიის საგარნიზონო სახლში შეიკრიბნენ N შენაერთის მებრძოლები და მეთაურები. ყველას საზეიმო იერი აქვს. დღეს მათ, კავკასიის გმირული დაცვის მონაწილეებს, უნდა გადასცენ მთავრობის საპატიო ჯილდო—მედალი „კავკასიის დაცვისათვის".

შენაერთის მეთაური ამბობს მოკლე და ამაღლებულ სიტყვას. იგი ლაპარაკობს 1942 წლის მრისხანე დღეების შესახებ, როდესაც ფრონტი მხეცი მოძვრებოდა, რომ [illegible] ზღვის მორევში ჩაეხრჩო ამიერკავკასიის თავისუფალი რესპუბლიკები, იგი ლაპარაკობს კავკასიის დამცველთა მამაცობის შესახებ.

— ჩვენი უფროსი ძმის—დიდი რუსი ხალხის დახმარებით, ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ჩვენ არამც თუ დავიცავით კავკასია, არამედ ზედიზედ ვაყენებთ დამარცხებებს კაცობრიობის უბოროტეს მტრებს—ჰიტლერელ დამპყრობლებს. ამ გამარჯვებათა ეს დიდების ნიშანი, ქუხილოვანი დირსების სიმბოლო—მედალი „კავკასიის დაცვისათვის" მოგვაგონებს.

— გაუმარჯოს ბელადსა და წითელი არმიის გამარჯვებათა ორგანიზატორს ამხანაგ სტალინს! დიდხანს არ სცხრება ძლიერი „ტაში და „ვაშა" დიდი მხედართმთავრის პატივსაცემად.

ალფრთოვანებულნი მიდიან კავკასიის დამცველები მედლის მისაღებად.

შენაერთის მეთაური მედალს პირველად აბარებს სამგზის ორდენოსანს, ლენინგრადისა და კავკასიის დაცვის მონაწილეს ამხ. ხუბულურს. ამის შემდეგ მედალს აბარებს წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულ ამხ. ქვანიას, ბოლქვაძეს, ჩორსინს, მოისწრაფიშვილს და სხვ.

მედლებს იღებენ აგრეთვე სერჟანტი აბრამიძე, რომელიც სახელგანთქმულ კაპიტან ბუხაიძის ბატალიონში იბრძოდა გერმანელების წინააღმდეგ. ლეიტენანტი დოლიძე, რომელიც თავის ქვეგანაყოფით მონაწილეობას იღებდა ბაქსანის ხიდის აღებაში, რისთვისაც იგი წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვეს.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა სერჟანტმა სტეპანოვმა.

— ვიღებთ რა ამ მედალს,— სთქვა მან,—ჩვენ ფიცს ვაძლევთ სამშობლოს, ჩვენს პარტიასა და მთავრობას, რომ მთელს ჩვენს ძალ-ღონეს, და თუ საჭირო იქნება სიცოცხლესაც კი შევსწირავთ გერმანელ დამპყრობთა უსწრაფეს და საბოლოო განადგურების საქმეს.

ე. პოლუმორდვინოვი.

სროლის ფრიადოსნები

ლეიტენანტმა მოდებაძემ ერთხელ კიდევ შეამოწმა ქვეგანაყოფის პირადი შემადგენლობის მზადყოფნა შაშხანის სროლის მე-6 ვარჯიშის ჩასატარებლად. მან სერჟანტებს დაავალა, რომ თავიანთ ათეულებში ჩაეტარებინათ განვლილი მასალის გამეორება.

დანიშნულ დროზე გაისმა ლეიტენანტ მოდებაძის კომანდა და ქვეგანაყოფი მწყობრით, ნაბიჯით დაიძრა სასროლო მოედნისაკენ. მებრძოლებს მოედანი მზადყოფნით დახვდათ.

დაიწყო სროლა. წითელარმიელმა სივუაშ დატენა შაშხანა და მოხერხებული მდგომარეობა დაიკავა. მან ყურადღებით დაუწყო თვალთვალი სამიზნო ფარის გამოჩენას. სივუაშ ზედიზედ ესროლა ფარს ხუთი ვაზნა და ხუთივე მიზანს მოახვედრა. ამით შაშხანის სროლის მე-6 ვარჯიში ფრიადზე შეასრულა. ასევე ფრიადზე ისროლეს მარგიშვილმა, თურქაძემ და სხვ. ამ ამხანაგებმა სროლაში ფრიად მაჩვენებელს მიაღწიეს სისტემატიური მუშაობით, დაუღალავი ვარჯიშით.

წითელარმიელი პ. ხვედელიძე.

პროფ. ქ. ვ. ბაზილევიჩი

(გაგრძელება*)

რუსული სამხედრო ხელოვნების საფუძვლები შექმნა პეტრე დიდმა. პეტრეს მიერ წინა საუკუნიდან მემკვიდრეობით მიღებული სისტემა უვარგისი იყო რუსეთის სახელმწიფოს იმ დიდ ისტორიულ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებმაც გამოიწვიეს ომი შვეციასთან ბალტიის ზღვაზე რუსეთისათვის სასიცოცხლო გასასვლელების დაუფლებისათვის. შვედების არმია მაშინ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო არმია იყო. მის სათავეში იდგა ახალგაზრდა მეფე კარლ XII, ჩინებული სამხედრო ორგანიზატორი და სწრაფი დარტყმების ოსტატი.

კარლისა და პეტრეს პირველი შეხვედრა გარშემორტყმულ ნარვის კედლებთან მოხდა (1700 წ.), რომელიც დამთავრდა რუსეთის არმიის მძიმე დამარცხებით. ეს იყო მკაცრი, მაგრამ სასარგებლო გაკვეთილი. პეტრე დიდი მისთვის ჩვეული ენერგიითა და მიზანსწრაფულობით დაეწაფა რომ ესარგებლა ამ გაკვეთილით. ნარვასთან დაიწყო გზა, რომელმაც ცხრა წლის შემდეგ რუსები მიიყვანა დამარცხებიდან გამარჯვებამდე, პოლტავამდე.

რამდენიმე წლის განმავლობაში პეტრემ მოწინააღმდეგისაგან გადმოიღო ევროპაში სამხედრო საქმის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, უნარიანად გამოიყენა რუსეთის სამხედრო გამოცდილება და შექმნა პირველხარისხოვანი რეგულარული არმია, რომელიც შესდგებოდა გამოცდილი ჯარისკაცებისა და დახელოვნებული მეთაურებისაგან. სამხედრო საქმისათვის სასარგებლო და საჭირო ელემენტების გადმოღება არ ატარებდა ფორმალურ-მექანიკურ ხასიათს. პეტრეს უდიდესი როლი სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ იგი მთელს სამხედრო რეფორმაში, როგორც ჯარების ორგანიზაციასა და აღზრდაში, ისე მხედართმთავრულ ხელოვნებაში, სავსებით დამოუკიდებელი რჩებოდა.

დასავლეთ ევროპის მთელი რიგი არმიები იმ ხანად ხასიათდებოდნენ მოძრაობის სიზელით. მოქმედი არმიების რიცხობრივი შემადგენლობა სწრაფად იზრდებოდა და ამასთან დაკავშირებით უმოძრაო ბაზების (მაღაზიების) საშუალებით მათი მომარაგების შეზღუდვის გამო მანევრირება შეზღუდული იყო, რადგან ჯარებს არ შეეძლოთ თავიანთი მაღაზიებიდან 5-6 გადასასვლელზე უფრო შორ მანძილზე წასვლა. ამ პირობებში ენერგიული გამოყენება უფრო შორ მანძილზე თითქმის შეუძლებელი იყო. მოწინააღმდეგენი ცდილობდნენ ემოქმედათ ერთიმეორის კომუნიკაციებზე და იშვიათად თუ მიმართავდნენ დიდ ბრძოლებს.

გამოჩენილი ფრანგი ინჟინრის ვობანის მუშაობის შედეგად სამხედრო-საინჟინრო საქმემ მიაღწია უდიდეს წარმატებებს, რომლებმაც ერთმხრივი გამოყენებისას გადაჭარბებული წარმოდგენა შექმნეს გამაგრებული პუნქტების შესახებ. ამან კი თავის მხრივ მოითხოვა ჯარების გაფანტვა მრავალრიცხოვანი სიმაგრეებისა და თავდაცვის ხაზების დასაცავად. იმ დროის სამხედრო ხელოვნების ყველაზე უფრო ცნობილ წარმომადგენლებს შეექმნათ აზრი იმის შესახებ, რომ შეუძლებელია ზურგში მტრის სიმაგრის დატოვება. სტრატეგიის ძირითადი წესი გახდა არა მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის მოსპობა, არამედ მისი თანდათანობით მოქანცვა. ევროპის არმიებმა ვერ შესძლეს ცეცხლისა და მოძრაობის ერთმანეთთან სწორი შეხამება.

მართალია, პეტრეს უშუალო მოწინააღმდეგე —შვედების მეფე კარლ XII არ მისდევდა ამ ტრადიციულ წესებს არც სტრატეგიაში და არც ტაქტიკაში. მისი გავლენა სტრატეგიული ხელოვნების განვითარებაზე კი მცირე იყო. სამაღაზიო სისტემის უარყოფამ და კვების ადგილობრივ საშუალებებზე გადატანამ მას დიდი შესაძლებლობა მისცა ეწარმოებინა ღრმა მანევრი, სამაგიეროდ კი დაჰკარგა მომზადებული ზურგი. პოლონეთსა და საქსონიაში კარლ XII შეძლო დაუსჯელად მოეგვარებინა საქმეები თავის საჯარისო ზურგის გარეშე, მაგრამ რუსეთში ძვირად დაუჯდა თავის საკუთარი საკომუნიკაციო ხაზების უგულებელყოფა.

სულ სხვა გზით მიდიოდა პეტრე. არ აძლევდა რა დიდ მნიშვნელობას გამაგრებულ ხაზებს, იგი მანევრის მთავარ მიზნად აყენებდა ბრძოლას. მანევრირების თავისუფლად გამოყენებისათვის პეტრემ არ უარჰყო რა სამაღაზიო სისტემა, შეავსო იგი ჯარებთან სურსათის თვიური მარაგის შექმნით, საჭირო შემთხვევაში კი სარგებლობდა ადგილობრივი საშუალებებით. ამავე დროს პეტრე ცდილობდა, რომ მოსახლეობა არ დაეტვირთა ზედმეტი გადასახადით. ეს კი საშუალებას აძლევდა მას სწრაფად შეეჯგუფებინა არმია მასირებული დარტყმებისათვის. ამ დარტყმების მოსამზადებლად გამოყენებული იყო მოწინააღმდეგის კომუნიკაციების ღრმა სტრატეგიული დაზვერვა, ცხენოსანთა და ქვეითი ჯარის მცირე რაზმების ხშირი ოპერაციები. **დასავლეთ ევროპაში ნაპოლეონი ამ გზას ერთი საუკუნით უფრო გვიან დაადგა.**

* დასაწყისი იხ. № 110.

(გაგრძელება შემდეგ №-ში).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
9 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა
(დ ა ს ა ს რ უ ლ ი)

ქალაქ შაულიაის (შავლის) დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, ბრძოლებით დაიკავეს 800-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი იურბარკასი (იურბურგი), დიდი დასახლებული პუნქტები ქურშიაი, ბარსტიჩიაი, კალვარია, ალსეჯიაი, კლატელიაი, კული, ვეჟაიცე (20 კილომეტრზე ქალაქ მემელის აღმოსავლეთით), ბროძე, ვევირჟანი, იუდრანი, პოიურჟე, პოიური, ბიკოვიანი, შაკვიცე, გავრი და რკინიგზის სადგურები ტაუროგენი, ბატაკიაი, იუდკეტრიაი.

მდინარე ნარევის მარჯვენა ნაპირზე პულტუსკის სამხრეთით მდებარე რაიონში ჩვენმა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების ყველა იერიში. ბრძოლებში 8 ოქტომბერს ამ უბანზე დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 94 ტანკი.

ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში ქალაქ რეგინის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც რუმინელთა ჯარებთან ერთად მოქმედებენ, ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები სინტუ, ფარაგო, ურჩა, ბალა, მილიშა, კიმპენიცა, მეზე ჩავოლში, ხერგელია, კუთმდი, ხარიცო, ციკტელნიკი, პანეტი, ბერგი.

უნგრეთის ტერიტორიაზე ქალაქ დებრეცენის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, დაიკავეს ქალაქები და დიდი რკინიგზის სადგურები ნადუდვარი, კიუშპაკ-ლადანი, დევავანია, ტურკევე, კარცაგი, ჰაიდუ-სობოსლო (18 კილომეტრზე ქალაქ დებრეცენის სამხრეთ-დასავლეთით), აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის კაბა, ბარანდი, რაკოცი, ეჩედი, და რკინიგზის სადგურები კაბა, პუსტა, ეჩეგი, ტენიე, კენდერეში, მარტფიუ, ტისა, ფელდვარი. აეროდრომებზე ნადუდვარისა და რაკოცის რაიონებში ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს გერმანელთა 140 თვითმფრინავი. 8 ოქტომბერს ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 4.220 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სულ სამი დღის ბრძოლების განმავლობაში ტყვედ წამოყვანილია 8.220 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

იუგოსლავიაში ქალაქ ველიკა კიკინდის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გადალახეს მდინარე ტისა და მდინარის დასავლეთ ნაპირზე დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი სენტა, ქალაქი და რკინიგზის კვანძი სტარი ბეჩეი, აგრეთვე დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტები სტარაია კანიჟა, ადა, მოლი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

8 ოქტომბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 209 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 26 თვითმფრინავი.

* * *

ლენინგრადის ფრონტის ჯარები შეტევას განაგრძობდნენ სარემის (ეზელის) კუნძულზე. N შენაერთის მებრძოლებმა, რომლებიც სდევნიდნენ გერმანელთა განადგურებულ ნაწილებს, წინ წაიწიეს 20-მდე კილომეტრით და მიაღწიეს კუნძულის დასავლეთ სანაპიროს. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოსდის. ერთ უბანზე ჩვენი მსროლელი ნაწილის ქვედანაყოფებმა გაანადგურეს 700-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა რაიონში ჩვენმა მებრძოლებმა ზღვასთან მიიმწყვდიეს მტრის ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი. გერმანელებმა იარაღი დაყარეს და ტყვედ დანებდნენ.

* * *

ქალაქ შაულიაის (შავლის) დასავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებით შეტევას განაგრძობდნენ. დასახლებულ პუნქტ კელმეს რაიონში საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის ჯარების ჯგუფი და ხელთ იგდეს სს სატანკო დივიზია „დიდი გერმანიის" კუთვნილი 27 ტანკი. იმავე რაიონში საბჭოთა ტანკისტები გაჭრნენ გზატკეცილის მაგისტრალისაკენ და გზა გადაუჭრეს გერმანელთა ავტოკოლონას. ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს მეწინავე ჯავშანტრანსპორტიორები და მსუბუქები, — ხელთ იგდეს 100-ზე მეტი ავტომანქანა. ქალაქ შაულიაის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი შემტევი ნაწილები მიადგნენ მოწინააღმდეგის თავდაცვით ზღუდეს, რომელიც იცავს აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრებს. ეს ზღუდე შესდგება სანგრების რამდენიმე ხაზისაგან, რომელთაც რკინა-ბეტონის ხანგრძლივი საცეცხლე წერტილები და ჯავშნის თავსახურები იცავენ, ტანკსაწინააღმდეგო თხრილებისაგან, რომლებიც დაცულია ბოძკინძებით, ნაღმიანი ველებით და მავთულის ღობეებით. საბჭოთა ტანკებმა და ქვეითმა ჯარმა, რომელთაც არტილერია ეხმარებოდა, მძლავრი დარტყმებით დასძლიეს გერმანელთა წინააღმდეგობა. N შენაერთის ნაწილებმა ჩრდილო-დასავლეთიდან შემოუარეს ქალაქ იურბარკასს (იურბურგს) და ღამით დაიწყეს იერიში. ქუჩებში ბრძოლები დილამდე გაგრძელდა. დღეს ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს გერმანელთა დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი მდინარე ნემანზე — ქალაქი იურბარკასი (იურბურგი). ბრძოლების მსვლელობაში მოწინააღმდეგემ უდიდესი ზარალი მიიღო. დღის განმავლობაში მოსპობილია 4 ათასამდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს დიდძალი ტანკი, სავლე და საზენიტო ქვემეხები, ტყვიამფრქვევები, ავტომანქანები და სამხედრო ქონებით სავსე საწყობები.

* * *

ქალაქ პულტუსკის სამხრეთით მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდმა ძალებმა კვლავ სცადეს მოეჭრათ ჩვენი ჯარების პლაცდარმი მდინარე ნარევის მარჯვენა ნაპირზე. დღის განმავლობაში გერმანელებმა 20-მდე იერიში მიიტანეს. საბჭოთა ქვეითებმა და არტილერისტებმა გაუძლეს მტრის იერიშს და დაიცვეს თავიანთი პოზიციები. მოსპობილია ერთ პოლკამდე გერმანელთა ქვეითი ჯარი. ბრძოლის ველი მოფენილია მტრის დაზიანებული და დამწვარი ტანკებითა და თვითმავალი ქვემეხებით.

* * *

უნგრეთის ტერიტორიაზე ჩვენმა ჯარებმა სწრაფი დარტყმით დაიკავეს ქალაქი ჰაიდუსობოსლო. ჩვენმა სხვა ნაწილებმა გასტეხეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა ჰორტობაჯ ჩატორნის არხზე და დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური კარცაგი. დებრეცენ-ბუდაპეშტის რკინიგზა და გზატკეცილი გადაჭრილია, ამ ბრძოლებში მოწინააღმდეგემ 3.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა. არასრული ცნობებით, ჩვენმა ჯარებმა სამი დღის ბრძოლების განმავლობაში ხელთ იგდეს 26 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 66 საველე ქვემეხი, 1.000-ზე მეტი საზიდარი, რკინიგზის 11 ეშელონი და 600 ვაგონი სხვადასხვა ტვირთით. ცალკეულ უბნებზე მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა ახალ ძალებს და რამდენიმე კონტრიერიში მიიტანა. ჩვენი ჯარები, რომლებმაც წარმატებით მოიგერიეს გერმანელ-უნგრელთა ჯარების კონტრიერიშები ბრძოლებით მიიწევენ წინ.

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ავიაცია განუწყვეტლივ ურტყამდა მოწინააღმდეგის ხომალდებს რიგის ყურეში. 6 და 7 ოქტომბერს ჩვენმა ტორპედოსნებმა და ბომბდამშენებმა ჩაძირეს მოწინააღმდეგის 4 ტრანსპორტი, 6 სწრაფმავალი სადესანტო კარჯაპი, საგუშაგო ხომალდი და საგუშაგო კატერი. 8 ოქტომბერს საბჭოთა მფრინავებმა ჩაძირეს გერმანელთა ტანკერი 3 ათასი ტონა წყალწყვისა, 2 ტრანსპორტი 11 ათასი ტონა საერთო წყალწყვისა და 3 მოტობოტი.

ისწავლე რუსული ენა

ГРАНАТА — გრანატი

Боевые свойства гранаты — გრანატის საბრძოლო თვისებები

Предназначается —	დანიშნულია
Разлетаться —	გაბნევა, გაფანტვა
Разрываться —	სკდომა
Растягиваться —	გაჭიმვა
Связка —	კონა, შეკვრა
Расстояние —	მანძილი
Убойное действие —	მუსვრითი მოქმედება
Ударное действие —	დარტყმითი მოქმედება
Удержать —	დაჭერა
Укрепить —	გამაგრება
Упасть —	დაცემა
Утапливать —	ჩაფვლა

საბჭოთა კავშირში

მინსკისათვის ხელახლა იქმნება ვ. ი. ლენინის ძეგლი

გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა მინსკში დაანგრიეს ვ. ი. ლენინის ძეგლი, რომელიც ჩამოსხმული იყო ლენინგრადის ქარხანა „მონუმენტსკულპტურაში".

ბელორუსიის მთავრობის თხოვნით ქარხანა შეუდგა ძეგლის ხელახლა შექმნას. გადაწყვეტილია, შეიქმნეს ლინი ფიგურა ჩამოისხას ბრინჯაოსაგან თაბაშირის ყალიბის მიხედვით, რომელიც ვ. ი. ლენინის მუზეუმის ლენინგრადის ფილიალში ინახება. ძეგლის ჩამოსხმა მინდობილი აქვთ ძველ ოსტატებს.

ახალ წელს ვ. ი. ლენინის ძეგლი უნდა დაიდგას ბელორუსიის სს რესპუბლიკის მთავრობის სახლის წინ მდებარე მოედანზე მინსკში. (საქტასი).

დიორამა „სევასტოპოლის იერიში"

სევასტოპოლიდან მოსკოვს დაბრუნდა მხატვართა ბრიგადა, რომელიც იქ მასალებს აგროვებდა დიდ დიორამა „სევასტოპოლის იერიშისათვის". დიორამის სრულიად-საკავშირო გამოფენისათვის ამზადებს სტალინური პრემიის ლაურეატი პ. სოკოლოვ-სკალია.

ბრიგადამ ორ თვეს დაჰყო სევასტოპოლში და 140-ზე მეტი ეტიუდი და ბევრი ჩანახატი გააკეთა, ეტიუდებში მოცემულია სევასტოპოლის სრული პანორამა. ამჟამად სოკოლოვ-სკალია თავის ბრიგადასთან ერთად დიდ ესკიზს ხატავს მომავალი დიორამისათვის. მხატვარი გამოსახავს სევასტოპოლის იერიშის მომენტს, რომელიც 1944 წლის 9 მაისს მოხდა.

საბჭოთა თეატრის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტები

მოსკოვს ჩამოვიდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და რსფს რესპუბლიკის დიდი ქალაქების თეატრის გამოჩენილი ოსტატები. დეკადაში მონაწილეობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები: ალექსანდროვსკაია, ზოია გაიდაი, ლიტვინენკო-ვოლგემუტი, ჰალიმა ნასიროვა, უძეჲი, ბეჩბა, ვასაძე, პატორჟინსკი, ხორავა, გნატ იურა, ლენინგრადელები — ულანოვა, ჩეჩოვა, ჭაბუკიანი და ბევრი სხვა.

6 ოქტომბერს ჩაიკოვსკის სახელობის კამერტელურად შეკეთებულ დარბაზში დაიწყება საბჭოთა თეატრის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტების ციკლი. პირველ კონცერტში გამოდიან უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, უზბეკეთის და ლენინგრადის ხელოვნების ოსტატები. ისინი მოსკოველებს გააცნობენ ეროვნულ პოეზიას და იმ სცენათა დრამატურგიულ ნაწარმოებთა ნაწყვეტებს, რომლებიც უკანასკნელ წლებშია შექმნილი ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენება 10 ოქტომბრამდე გასტანს.

1760—რუსეთის ჯარებმა აიღეს ბერლინი.
1901—დაიბადა ა. ს. შჩერბაკოვი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მდივანი, სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე.

ნარევი

პირველი ფოტოგრაფი

ერთხელ საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის მდივანმა მოასხენეს ყოფილ ქალი მილდებათო—ეს იყო იმ დროის ცნობილი მხატვრის დაგერის ცოლი, რომელიც აკადემიის მდივანთან რჩევა-დარიგებისათვის მივიდა.

— მე მეშინია,—აცხადა ის თვალცრემლიანი,—რომ საქმე სიკვდილით არ დამთავრდება, სად გაგონილა, რომ ნაჭერმა და სამელანი ჩამოთვლა მხატვრისათვის ფუნჯი წაიღოთ და ტილოზე ოდესმე ამყოფს! მისი უგზური გატაცება ავადმყოფობა ხომ არ არის, რომელიც ჩვენ განადგურებას გვიქადის?!

მეცნიერი შეეცადა მხატვრის ცოლის დამშვიდებას, ის იცნობდა დაგერს და სწამდა, რომ ის მნიშვნელოვანი ხელმჩენის წინაშე იდგა.

მართლაც, 1839 წელს გამოქვეყნებულ იქნა ფრანგი მხატვრის შესანიშნავი გამოგონება მან მსოფლ ცნობილებით „დაგეროტიპის" სახელწოდება მიიღო.

გამოგონებულ დაგერის პატივსაცემად პირველ სურათებს „დაგეროტიპები" უწოდეს. დაგერის აპარატით ყველაზე კარგი გადაღება არ შეიძლებოდა, გადაღება მოითხოვდა 10-15 წუთს.

გავიდა 105 წელი და დაგეროტიპია გადაიქცა ჩვენთვის კარგად ცნობილ ფოტოგრაფიად.

ჩვენი მეგობრების პორტრეტები, ფოტოსურათები ჟურნალ-გაზეთებში, ფოტოგადაღება ჰაერში, მიკროგადაღება, ფოტოგრაფიული მთვარის და მნათობებისა და, ბოლოს, კინო — ყველაფერ ამას, საფუძველი დაუდო ფრანგმა მხატვარმა, შესანიშნავმა გამომგონებელმა ლუი დაგერმა.

„ძროხის ხე"

სამხრეთ ამერიკაში იზრდება „ძროხის ხე", რომელიც იძლევა რძის მაგვარ თეთრ წვენს, ეს წვენი ტკბილია და ნოყიერი.

საზღვარგარეთ

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 9 ოქტომბერი. (საქტასი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს შელდის შესართავის რაიონში და ანტვერპენის ჩრდილოეთით გაათავისუფლეს კემპნეუტი. შელდის შესართავის სამხრეთით გაძლიერებული ბრძოლები გაჩაღდა ხილწინ სიმაგრეზე ლეოპოლდის არხს გაღმა. მოკავშირეთა ჯარების სოლიდ შეზრის რაიონის დასავლეთ უბანზე ჰოლანდიაში ადგილობრივი ბრძოლები სწარმოებდა. მოკავშირეთა ჯარებმა დაახლოებით 4 მილამდე დაიწროვეს გასასვლელი აახენის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ჩრდილოეთიდან შემტევმა ნაწილებმა წინ წაიწიეს დაახლოებით ერთ მილამდე აახენის სამხრეთ-დასავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით. ალსდორფის ჩრდილო-აღმოსავლეთით მაღლობზე მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ოიდტვეილერი. ყველგან აახენის რაიონში მოწინააღმდეგე ძლიერ საარტილერიო, თოფისა და ტყვიამფრქვევის სროლას აწარმოებს.

ეპინალის სამხრეთ-დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა განაახლეს შეტევა ძნელად სავალ დასერილ ადგილზე.

მეცის რაიონში მოკავშირეთა ჯარების ნაწილებმა მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს ქალაქ მეზიერ-ლე-მეცის ჩრდილოეთი ნახევარი, დრიანის ფორტში გაფართოებული ბრძოლები გრძელდება. მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც ნანსის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით უტევენ, გაათავისუფლეს ქალაქები მუაზონი და შენიკური. გოგზის მთის ძირზე წამოუვანილია ტყვეები და ხელთ გრძელ ახალი უბნები ლე-ტილისთან.

მოკავშირეთა ავიაცია თავს ესხმოდა მოწინააღმდეგის თავმოყრილ ჯარებს, საარტილერიო პოზიციებსა და რკინიგზის ობიექტებს დასავლეთ გერმანიაში.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, 7 ოქტომბერს ორი მძიმე ბომბით დაბომბილ იქნა კემბსის კაშხალი რაინზე, მდინარე ამ პუნქტში სანაოსნოდ აღარ ვარგა.

ლონდონი, 9 ოქტომბერი (საქტასი). საომარი მოქმედების ხმელთაშუა ზღვის აუზზე მყოფი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ ძლიერი და ხანგრძლივი წვიმები კვლავ უშლიდა ხელს დიდ ოპერაციებს იტალიის ფრონტის მთელ სიგრძეზე. ავდრის მიუხედავად, მე-8 არმიის ნაწილებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ძლიერი კონტრიერიშები მონტე ფარნეტოს მაღლობზე, წინ წაიწიეს მდინარე ფიუმიჩინოდან და განდევნეს მოწინააღმდეგე მონტილგალლოს და მონტე გატონის მაღლობებიდან. მე-5 არმიის ამერიკელთა ნაწილებმა განდევნეს მოწინააღმდეგე ხარბართლოდან მონტე კასტელარის მაღლობიდან და ორ მილამდე წაიწიეს წინ ბოლონიაში მიმავალ გზატკეცილზე. ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

საჰაერო ძალების ოპერაციები ძლიერ შეზღუდული იყო ცუდი ამინდის გამო.

პ/მგ. რედაქტორი ი. ლავრუხინი
პ/მგ. რედაქტორის მოადგილე
გ. დარასელი